28.11.2016

საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში

საქართველოს პროკურატურაში 2016 წელსაც გრძელდებოდა რეფორმების პროცესი: შემუშავდა პროკურატურის სტრატეგია; დასრულდა პროკურორთა შეფასების სისტემაზე მუშაობის პირველი ეტაპი; არაერთი ნაბიჯი გადაიდგა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში; დამკვიდრდა პროკურატურის მუშაკებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მათი დაწინაურებისა და წახალისების საკითხების კოლეგიური განხილვის წესი; ჩატარდა მასშტაბური კვლევა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი მიზეზების შესახებ; საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში დაინერგა ,,ადგილობრივი საბჭოს“ პროექტი; შემუშავდა დოკუმენტი მოქალაქეებთან შეხვედრის წესების შესახებ და დაინერგა მოქალაქეებთან შეხვედრის ელექტრონული პროგრამა.

განხორციელებული რეფორმები მიზნად ისახავს საქართველოს პროკურატურის ძლიერ, ეფექტიან და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ სტრუქტურად ჩამოყალიბებას.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები

<u>სისხლისსამართლებრივი დევნა/განრიდება</u>

2016 წლის 9 თვეში საქართველოს პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 12 348 პირის მიმართ (სრულწლოვნები და არასრულწლოვნები)[1].

[1] 2015 წლის 9 თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 13042 პირის მიმართ.



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება შემდეგ დანაშაულებზე: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლი (ქურდობა) - 19.6%, 273-ე მუხლი (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) - 11.9%, 260-ე მუხლი (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა) - 10.7%, 125-ე მუხლი (ცემა) – 6.6%, 126[1] მუხლი (ოჯახში ძალადობა) - 4.4%. დეტალური მონაცემები მოცემულია გრაფიკში:

მუხლები, რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა (2016 წლის 9 თვე)



2016 წლის მსგავსად, 2014-2015 წლებშიც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა საქართველოს სსკ-ის 177-ე, 273-ე და 260-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. კერძოდ, 2014 წელს ბრალდებულთა 51.4%-ს და 2015 წელს ბრალდებულთა 38.5%-ს, სწორედ ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედებოდათ ბრალი.

ვინაიდან ნარკოტიკული დანაშაული წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დანაშულს, 2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის ინიციატივით,

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, განხორციელდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი მიზეზების კვლევა. საქართველოს 10 რეგიონში გამოკითხული იქნა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით მსჯავრდებული 1163 პირი. აღნიშნული კვლევის ანგარიში შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი მიზეზების შესახებ და რეკომენდაციებს ამ მიმართულებით არსებულ საჭიროებებზე.

კვლევის შედეგებს საქართველოს პროკურატურა გამოიყენებს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას. გარდა ამისა, იგეგმება კვლევის ანგარიშის გასაჯაროება. ვიმედოვნებთ, რომ კვლევის შედეგები დაეხმარება შესაბამის საჯარო სამსახურებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს სამომავლო პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ნარკოტიკული დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოს პროკურატურა ახორციელებს რა სისხლისსამართლებრივ დევნას, დანაშაულის ჩამდენი სრულწლოვანი პირების მიმართ იყენებს ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიულ მექანიზმს - განრიდებას. განრიდების გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული არ იწვევს მძიმე და გამოუსწორებელ შედეგს, დანაშაულის ჩამდენი პირი ანაზღაურებს დაზარალებულისთვის მიყენებულ ზიანს, არ იკვეთება დამამძიმებელი გარემოებები და ბრალდებულის პიროვნება იძლევა მის მიმართ ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას. 2016 წელს (ისევე, როგორც წინა წლებში) განრიდება ძირითადად გამოყენებულ იქნა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის - (საქართველოს სსკ-ის 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა), 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), 125-ე (ცემა), 177-ე (ქურდობა) და 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის) ჩამდენი სრულწლოვანი პირების მიმართ.



<u>აღკვეთის ღონისძიებები</u>

2016 წლის 9 თვეში აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა 8086 პირს, რომელთაგან 28%-ის მიმართ გამოყენებულ იქნა პატიმრობა, 61%-ის მიმართ გირაო (მათ შორის საპატიმრო გირაო), ხოლო 11%-ის მიმართ უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება.

2016 წლის 9 თვეში, 2015 წელთან შედარებით, პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი შემცირებულია 2%-ით.



პატიმრობის მაჩვენებლის შემცირების პარალელურად, ბოლო წლებში, შემცირებულია საპატიმრო გირაოს გამოყენების მაჩვენებელიც.



2009-2011 წლებში საპატიმრო გირაოს დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია აღნიშნულ წლებში პატიმრობის მაღალი მაჩვენებლით. 2013-2016 წლებში პატიმრობის შემცირების პარალელურად საპატიმრო გირაოს მაჩვენებლის შემცირება მიუთითებს სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების გააქტიურებაზე.

აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემცირებულია არა მხოლოდ სასამართლოს მიერ პატიმრობისა და საპატიმრო გირაოს შეფარდების მაჩვენებელი, არამედ შემცირებულია პროკურორთა მიერ პატიმრობისა და საპატიმრო გირაოს შეფარდების მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების რაოდენობაც.



პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებლის შემცირების პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ მკაცრია პროკურატურის მიდგომა ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა მძიმე შედეგი, დანაშაულთა ერთობლიობის დროს და ყველა იმ შემთხვევაში, როცა პირის თავისუფლებაში ყოფნა საფრთხეს უქმნის გამოძიების ინტერესებს, პროცესის მონაწილეთა და საზოგადოების უსაფრთხოებას. ყველა ძალადობრივ დანაშაულზე პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილია პატიმრობის გამოყენება, რომლის დაკმაყოფილების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

პროკურორების მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების დიდი ნაწილი (40%) სრულად კმაყოფილდება (თითქმის ანალოგიური ვითარება იყო წინა წელსაც).



რაც შეეხება მხოლოდ პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს, უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე, ზოგადად, აღკვეთის ღონისძიების დაკმაყოფილების მაჩვენებელი. პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი 63%-ია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პროკურორები პატიმრობის შეფარდებას ითხოვენ უკიდურეს შემთხვევებში.



საქართველოს პროკურატურამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პროკურორთა შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხის გასაუმჯობესებლად (შეიმუშავა აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთების სახელმძღვანელო, გადაამზადა ყველა პროკურორი პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებში). ამ მიმართულებით კვლავ გრძელდება პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი. ამჟამად მიმდინარეობს პროკურორთა გადამზადება სამართლებრივ წერაში, რომლის ფარგლებში სწავლების დროის ნაწილი დათმობილი აქვს აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის დასაბუთების საკითხებს.

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

2016 წლის 9 თვის განმავლობაში პირველი ინსტანციის საერთო სასამართლოებმა იმსჯელეს 12 119 პირის დამნაშავეობის შესახებ.

პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართ გამოტანილი იქნა განაჩენი (2009-2016 წლები)



2016 წელს გასამართლებული 12 119 პირიდან, 62.4%-ზე განაჩენი გამოტანილ იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 37.6%-ის მიმართ საქმე არსებითად იქნა განხილული.

არსებითი განხილვითა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენები (2009-2016 წლები)



საპროცესო შეთანხმების მაჩვენებლის კლება განპირობებულია სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლებით. ბრალდებულებს აქვთ გამართლების ან/და სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმებით შეთავაზებულ სასჯელზე უფრო მსუბუქი სასჯელის შეფარდების მოლოდინი.

2016 წლის 9 თვის განმავლობაში არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან, 3.7%-ის მიმართ (167 პირი) სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო, 1.8%-ის მიმართ (82 პირი) - ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.

გამამართლებელი განაჩენი გამოტანილ იქნა სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. მათი გამოტანის მიზეზი მეტწილად გახდა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობის არარსებობა (რიგ შემთხვევებში სასამართლო არ იზიარებს ირიბ ჩვენებებს, რიგ შემთხვევებში სასამართლო მიუთითებს ჩვენებებს შორის წინააღმდეგობაზე და საპროცესო დარღვევებზე, რიგ შემთხვევებში არ ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ჩვენებებს, თუ ისინი არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით).



შემცირებულია საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი. კერძოდ, 2014 წელს საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმა გამოყენებულ იქნა ბრალდებულთა 47%-ის მიმართ, 2015 წელს - 44.6%-ის მიმართ, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - 38.7%-ის მიმართ.



ზემოაღნიშნულ მონაცემებს ამყარებს ისიც, რომ უკანასკნელ წლებში ჯარიმის სახით ბიუჯეტში გადახდილი თანხების ოდენობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული.



შემცირებულია საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემთხვევებიც. კერძოდ, 2014 წელს საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა ბრალდებულთა 33.7%-ის მიმართ, 2015 წელს - 25%-ის მიმართ, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - 21.5%-ის მიმართ.



საპროცესო შეთანხმების დადება თავისუფლების აღკვეთის მოხდის პირობით ძირითადად გამოყენებულ იქნა მოხელეების, ძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი პირების, ნასამართლევი პირების, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, გადაზიდვისა და გასაღების ჩამდენი პირების, ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ და დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევებში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს პროკურატურისთვის კვლავ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში პროკურატურის მიერ გადადგმული ნაბიჯები დადებითად აისახა ამ სფეროში მიღწეულ შედეგებზე. კერძოდ, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი არასრულწლოვანთა მიმართ დევნის ალტერნატიული მექანიზმების (განრიდება-მედიაციის) გამოყენების მაჩვენებელი, მინიმუმამდეა დაყვანილი განრიდების მექანიზმის გამოყენებამდე არასრულწლოვანთა მიმართ

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევები, უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მიმართ გადაწყვეტილების მიღების დროულობა, შემცირებულია არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის, საპატიმრო გირაოსა და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი.

2010 წლიდან (განრიდების პროგრამის ამოქმედებიდან) დღემდე სულ განრიდებულია 1365 არასრულწლოვანი, საიდანაც ყველაზე მეტი - 326 არასრულწლოვანი განრიდებული იქნა 2016 წელს. 2016 წელი არის პირველი წელი, როდესაც განრიდებული არასრულწლოვნების რაოდენობა ბევრად აჭარბებს დევნადაწყებული არასრულწლოვნების რაოდენობას, მაშინ როდესაც, წინა წლებში დევნის დაწყების მაჩვენებელი აჭარბებდა განრიდების მაჩვენებელს. განრიდების მაჩვენებლის ზრდა არ არის განპირობებული არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მომატებით. აღნიშნულს მოწმობს დევნადაწყებული და განრიდებული არასრულწლოვანი პირების რაოდენობის ერთმანეთთან შედარება. განრიდებული არასრულწლოვნების რაოდენობის ზრდა განაპირობა არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების შემცირებამ.



როგორც მოგეხსენებათ, 2016 წლის 1 იანვრიდან, სასამართლო უფლებამოსილია არასრულწლოვნის განრიდების მიზნით საქმე დაუბრუნოს პროკურორს. 2016 წლის 9 თვეში განრიდებული 326 არასრულწლოვნიდან, სასამართლოს გადაწყვეტილებით განრიდდა 32 მათგანი. პროკურორების მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების მაღალი მაჩვენებელი და

სასამართლოს მიერ განრიდების მიზნით საქმის უკან დაბრუნების დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ პროკურორები დროულად და სწორად იყენებენ განრიდების მექანიზმს და სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

განრიდების პროგრამის ფარგლებში წარმატებით მიმდინარეობს არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია, ვინაიდან, თითქმის არ ფიქსირდება განრიდების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევები (2016 წლის 9 თვეში 326 განრიდებულიდან მხოლოდ სამმა მათგანმა დაარღვია განრიდების ხელშეკრულების პირობა).

განრიდების გამოყენება, უმეტესწილად, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების მიმართ ხდება. თუმცა, არის მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების შემთხვევებიც. 2013 წელს განრიდებული არასრულწლოვნების 28%-ს ჰქონდა ჩადენილი მძიმე კატეგორიის დანაშაული, 2014-2015 წლებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 3-4%-ით, ხოლო 2016 წლის 9 თვეში, წინა წელთან შედარებით - 9%-ით.



განრიდება, ძირითადად, გამოყენებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე (ქურდობა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების მიმართ. კერძოდ, 2016 წლის 9 თვეში განრიდებული 326 არასრულწლოვნიდან, 226 (69%) მათგანს ჩადენილი ჰქონდა ქურდობა.

განრიდების მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია პროკურორის მიერ შემჭიდროვებულ ვადაში არასრულწლოვნის განრიდების გადაწყვეტილების მიღება, რათა იგი აარიდოს დევნის დაწყებასა და სასამართლო პროცედურებს. 2016 წლის 9 თვეში განრიდებული 326 არასრულწლოვნიდან 75%-ის განრიდება განხორციელდა დანაშაულის ჩადენიდან 2 თვის ვადაში. ასევე, 2016 წელს მნიშვნელოვნად არის შემცირებული განრიდებამდე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. თუ 2014 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 38% განრიდდა დევნის დაწყების შემდგომ, 2015 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 25%-მდე, ხოლო 2016 წლის 9 თვეში 17%-მდე.

წელი	განრიდებულთა რაოდენობა	განრიდებამდე დევნადაწყებულ პირთა რაოდენობა
2014 წელი	203	78 (38%)
2015 წელი	297	74 (25%)
2016 წელი (9 თვე)	326	56 (17%)

საქართველოს პროკურატურისთვის ასევე მნიშვნელოვანია დაზარალებული, რომელსაც ზიანი მიადგა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად. იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის მედიატორების დახმარებით, ბოლო 2 წელიწადში საგრძნობლად არის გაზრდილი მედიაციის მაჩვენებელი. თუ 2014 წელს მედიაციის მაჩვენებელი იყო 18%, 2015 წელს ეს მაჩვენებელი იყო 48%, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - 45%. განრიდების პროგრამაში მედიაციის მაჩვენებლის ზრდა პირდაპირ კავშირშია დაზარალებულის კმაყოფილებასთან, რაც საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტია.



გატარებული ღონისძიებებისა და ეფექტური სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგად, დადებითი ტენდენციები შეინიშნება სხვა მიმართულებებითაც. კერძოდ, მნიშვნელოვნადაა შემცირებული არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი.

2009 წელს პატიმრობა გამოყენებულ იქნა დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა 42.6%-ის მიმართ, 2010 წელს - 39.7%-ის მიმართ, 2011 წელს - 24.6%-ის მიმართ, 2012 წელს - 21.6%-ის მიმართ, 2013 წელს - 11.1%-ის მიმართ, 2014 წელს - 12.5%-ის მიმართ, 2015 წელს - 9.4%-ის მიმართ, ხოლო, 2016 წელს - 4%-ის მიმართ. აღნიშნული მაჩვენებელი უკანასკნელი წლების განმავლობაში უპრეცედენტოდ დაბალია.



მინიმუმამდე იქნა დაყვანილი არასრულწლოვნებში საპატიმრო გირაოს გამოყენების მაჩვენებელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნებში პატიმრობის შემცირება არა საპატიმრო გირაოს, არამედ, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების და დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების გაზრდის ხარჯზე მოხდა. 2013-2015 წლებში საპატიმრო გირაოს გამოყენება არასრულწლოვნების მიმართ 2009-2011 წლებთან შედარებით განახევრებულია, ხოლო 2016 წელს აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება მხოლოდ ერთ პირს შეეფარდა.



ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული საპატიმრო სასჯელების მაჩვენებელშიც გამოიხატა. 2016 წლის 9 თვეში, საპროცესო შეთანხმების შედეგად, არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული საპატიმრო სასჯელის (სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის) მაჩვენებელი უპრეცედენტოდ დაბალია წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (4%). ამასთან, 2016 წლის 9 თვეში, საპროცესო შეთანხმების შედეგად, საპატიმრო სასჯელშეფარდებული 17 არასრულწლოვნიდან 15 წარსულში ნასამართლევია.



პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო

<u>გამოძიების დაწყება</u>

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პროკურატურა, საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციასთან ერთად, აღჭურვილია საგამოძიებო უფლებამოსილებით. 2014 წელს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფების მიერ გამოძიება დაიწყო 571 სისხლის სამართლის საქმეზე, 2015 წელს - 855 საქმეზე, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - 622 საქმეზე. აღნიშნული ციფრები მიუთითებს, რომ საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის პარალელურად, პროკურატურა

არანაკლებ ეფექტურად ახორციელებს საგამოძიებო უფლებამოსილებას. აღნიშნულ საქმეთა უმეტეს ნაწილზე (თითქმის 1/3-ზე) გამოძიება დაიწყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.



2016 წელს (9 თვე) დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობაზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება - 40%), 180-ე (თაღლითობა - 9%), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება - 5%), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა - 5%), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა - 5%), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - 3%) და 284-ე (კომპიუტერული მონაცემების ხელყოფა - 2%) მუხლებით.



<u>სისხლისსამართლებრივი დევნა</u>

პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, 2014 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 159, 2015 წელს - 161, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - 126 პირის მიმართ.



2016 წლის 9 თვეში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება შემდეგ დანაშაულებზე: საქართველოს სსკ-ის 180-ე (თაღლითობა - 25%), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება - 20%), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა - 7%), 157-158-ე (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა - 4%), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - 2%) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ.



2016 წლის 9 თვეში დევნადაწყებული პირების **33% (61 პირი) საჯარო მოხელეა,** რომელთა დიდი ნაწილი (79%) არის სამართალდამცავი ორგანოების (სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სხვადასხვა რგოლის ყოფილი მენეჯერები და ოფიცრები) თანამშრომელი. აღნიშნული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, მეტწილად, დაწყებულია 2012 წლამდე ჩადენილ ფაქტებზე.



2016 წლის 9 თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მაღალი რანგის 16 საჯარო მოხელის მიმართ, მათ შორის ძალადობრივ დანაშაულზე - მაღალი რანგის 9 საჯარო მოხელის მიმართ.

ამავე საანგარიშო პერიოდში წამების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სამართალდამცავი ორგანოს 3 თანამშრომლის მიმართ.

პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით (სსკ-ის 157-ე, 158-ე, 159-ე, 332-ე, 332-ე მუხლებით) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 19 პირის მიმართ, მათ შორის, 7 ყოფილი საჯარო მოხელის მიმართ.

<u>განაჩენები</u>

2014 წელს განაჩენი გამოტანილ იქნა პროკურატურის წარმოებაში არსებულ 92, 2015 წელს - 148, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - 94 სისხლის სამართლის საქმეზე.

რაც შეეხება გამამტყუნებელ და გამამართლებელ განაჩენთა თანაფარდობას, უნდა აღინიშოს, რომ გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა კლების ტენდენციით ხასიათდება.



2016 წლის 9 თვეში, გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მაღალი რანგის 19 საჯარო მოხელის მიმართ, რომელთაგან მაღალი რანგის 3 ყოფილი საჯარო მოხელე მსჯავრდებული იქნა ძალადობრივი ხასიათის დანაშაულზე.

პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, მსჯავრდებულ და განრიდებულ პირებს, 2014 წელს ჯარიმის სახით სულ დაეკისრათ 340500 ლარი, 2015 წელს - 992572 ლარი, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - 515500 ლარი.[2] უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მდგომარეობა განსხვავდება წინა წლების პრაქტიკისგან, როდესაც ჯარიმის სახით დაკისრებული თანხების ოდენობა ათეულობით მილიონს აღწევდა და ატარებდა სადამსჯელო ხასიათს. დღევანდელი მონაცემებით, ჯარიმის გამოყენება ხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობისა და ჩადენილი ქმედების მხედველობაში მიღებით.

[2] 2015 წლის მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია მხოლოდ ერთ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას დიდი ოდენობის ჯარიმის გამოყენებით.



<u>საჯარო მოხელეების მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა</u>

ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ 2012 წლის 01 ოქტომბრამდე ჩადენილ ძალადობრივ და სამოხელეო დანაშაულებთან დაკავშირებით, 2012 წლის ნოემბრიდან 2016 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებში გამოძიება დაიწყო 200-ზე მეტ სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 185 ყოფილი საჯარო მოხელის მიმართ, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირების: შინაგან საქმეთა მინისტრის, იუსტიციის მინისტრის, თავდაცვის მინისტრის, გენერალური შტაბის უფროსის, სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილის, შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის, შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის უფროსის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მიმართ. მოცემული საქმეებიდან, სასამართლოში განსახილველად წარიმართა 145 პირის მიმართ, რომელთაგან 100 პირის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი (დაახლოებით 360-მდე დანაშაულებრივ ეპიზოდზე), ხოლო 8 პირის მიმართ - გამამართლებელი განაჩენი.



2012 წლის 01 ოქტომბრამდე ჩადენილ სისტემურ დანაშაულებთან დაკავშირებით, დღევანდელი მონაცემებით, გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს 170-ზე მეტ სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სასამართლოში განიხილება 30-ზე მეტი გახმაურებულს სისხლის სამართლის საქმე.

<u>იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება</u>

ამ ეტაპზე გამოძიებული და გახსნილია მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 47 ფაქტი და მხილებულია 32 საჯარო მოხელე, რომელთაგან 23-ის მიმართ, გამოძიების წინაშე მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებულ იქნა დისკრეცია; 2 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება მათი გარდაცვალების გამო, ხოლო 7 პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა. ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტების გამოძიების შედეგად დაზარალებულად იქნა ცნობილი 85 პირი, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდათ 71 ავტომანქანა, 12 მიწის ნაკვეთი, ასევე სხვადასხვა დასახელების უძრავი და მოძრავი ქონება, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 17 930 338 ლარს.

2016 წლის 24 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილება გახდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის ეფექტიანი და სამართლებრივად სწორი მექანიზმი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, ამ ეტაპისათვის საქართველოს პროკურატურამ **16** მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, საიდანაც 2 პირის მიმართ უკვე დადგა გამამართლებელი განაჩენი. აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, დაიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა როგორც გამოძიების დროს მოპოვებული, ასევე სასამართლო განხილვის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც გამოირიცხა ხსენებული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი იყვნენ მსჯავრდებულნი.

ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა

<u>ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა</u>

გასული წლების მსგავსად, 2016 წელს, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთა მომართვიანობის, აღნიშნული დანაშაულის გამოვლენისა და მასზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი, რაც 2014-2015 წლების განმავლობაში ამ დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული არაერთი კამპანიის შედეგია. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2012 წელს ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 58, 2013 წელს - 236, 2014 წელს - 550, 2015 წელს - 1066, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - 989 პირის მიმართ.



სისხლის სამართლის პოლიტიკა მკაცრია ამ კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ დისკრეციის/განრიდების გამოყენება იშვიათად ხდება, კერძოდ, 2016 წლის განმავლობაში განრიდება გამოყენებულ იქნა ოჯახური დანაშაულის ჩამდენი მხოლოდ 5 პირის მიმართ.

მიმდინარე წელს, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მიმართულებით მომუშავე პროკურორთა ჯგუფმა ინტენსიური სასწავლო კურსი გაიარა, რაც ხელს შეუწყობს ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას. გარდა ოჯახური დანაშაულისა, ყურადღება გამახვილდა საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლით (სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან) და სსკ-ის 150[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე (ქორწინების იძულება). ამ კუთხით გადამზადება გაიარეს პროკურატურის საშუალო რგოლის მენეჯერებმაც. დამატებითი ტრენინგები დაგეგმილია როგორც პროკურორებისთვის, ასევე მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა სამსახურის წარმომადგენლებისთვის.

ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულის პრევენციისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით მთელი რიგი ღონისძიებები ჩატარდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელოს რეგიონებში „ადგილობრივი საბჭოს“ და ,,საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტების ფარგლებში.

დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

2016 წელს საქართველოს პროკურატურისთვის აქტუალური იყო დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. წლის დასაწყისში პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3[1] ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე". რეკომენდაციამ ხელი შეუწყო სიძულვილის მოტივის დასაბუთების პრაქტიკას, რის შედეგადაც, 2016 წლის ივნისიდან სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენა დადასტურდა 8 სისხლის სამართლის საქმეზე (4 შემთხვევაში - სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, 1 შემთხვევაში - გენდერული იდენტობის ნიშნით, 3 შემთხვევაში - რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით). ამ ეტაპზე 7 პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენა, სასჯელის დანიშვნის დროს, დამამძიმებელ გარემოებად იქნა გათვალისწინებული.

პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის ჩატარდა ტრენინგები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების თემაზე. სასწავლო კურსს ატარებდნენ ეუთოს ადამიანის უფლებების ოფისის წარმომადგენლები და ქართველი ექსპერტები. პროექტი სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 17 აგვისტოს, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს შორის სამი წლის ვადით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერით საქართველოს პროკურატურაში 2017 წლიდან განხორციელდება ე.წ. ,,PAHCT"-ის (სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე პროკურორთა ტრენინგი) პროგრამა. აღნიშნული პროგრამის დანერგვით პროკურატურის მუშაკები აიმაღლებენ კვალიფიკაციას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების კუთხით.

რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა რეკომენდაცია, რომელიც ამ ეტაპზე გადაგზავნილია ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისში მათ მიერ მოწვეული საერთაშორისო

ექსპერტის მიერ შესწავლისა და განხილვის მიზნით. მიღებული შენიშვნების შესაბამისად, მოხდება რეკომენდაციის საბოლოო ვერსიის დანერგვა საქართველოს პროკურატურის სისტემაში.

წლის დასაწყისში, დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სტანდარტების თემაზე შემუშავებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა პირველი პილოტური ტრენინგი, რომელიც პროკურატურის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოებიდან 28 მონაწილემ გაიარა. გადამზადებას ეტაპობრივად პროკურატურის ყველა გამომძიებელი და პროკურორი გაივლის. ამავე თემაზე ტრენინგი გაიარა პროკურატურის ტერიტორიული ორგანოების საშუალო რგოლის ყველა მენეჯერმაც.

2016 წელს, ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული HELP-ის პლატფორმის გამოყენებით, საქართველოს პროკურატურაში განხორციელდა პირველი დისტანციური სასწავლო კურსი დისკრიმინაციის აკრძალვის თემაზე. ოთხთვიანი კურსი 2016 წლის ოქტომბერში წარმატებით დაასრულა 20-მა პროკურორმა.

აღსანიშნავია, რომ პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლების პარალელურად, დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის პრაქტიკა გაუმჯობესდა. კერძოდ, 2016 წელს დისკრიმინაციული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე (სსკ-ის 142[1] მუხლით - რასობრივი დისკრიმინაცია) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 14 პირის მიმართ. ამ ეტაპზე მათ მიმართ სასამართლოში მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

გაუმჯობესდა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 2013 წლიდან 2016 წლის 9 თვის ჩათვლით რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 24 პირის მიმართ. კერძოდ, 2013 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით - აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო დევნა - 1 პირის მიმართ, ხოლო სსკ-ის 125-ე მუხლით - ცემა - 2 პირის მიმართ). 2014 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით - აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო დევნა - 3 პირის მიმართ, სსკ-ის 155-ე მუხლით - რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა - 1 პირის მიმართ). 2015 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ (საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 156-ე მუხლით - აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო დევნა - 1 პირის მიმართ, სსკ-ის 151-ე მუხლით - მუქარა - 1 პირის მიმართ, ხოლო სსკ-ის 125-ე მუხლით - ცემა - 3 პირის მიმართ). 2016 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 12 პირის მიმართ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით - აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო დევნა - 10 პირის მიმართ, სსკ-ის 155-ე მუხლით - რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა - 2 პირის მიმართ).



<u>არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა</u>

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხის მართებულად გადაწყვეტისა და სწორი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, შემუშავდა რეკომენდაცია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში მიმოხილულია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის გამიჯვნასთან დაკავშირებული საკითხები, არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაციის კუთხით პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ძირითადი სტანდარტები. რეკომენდაცია შესწავლილ იქნა ევროსაბჭოს მიერ, რომელმაც საერთო ჯამში დადებითად შეაფასა იგი. ექსპერტის შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა

და რეკომენდაცია მიმდინარე წლის ბოლომდე დაეგზავნებათ პროკურორებს პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

2013 წლიდან 2016 წლის 9 თვის მონაცემებით პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 604 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 121 პირის მიმართ. მათ შორის, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დეპარტამენტის 2 თავმჯდომარის, 2 თავმჯდომარის მოადგილის, პენიტენციური დაწესებულების 11 დირექტორის და პენიტენციური დაწესებულების 8 დირექტორის მოადგილის მიმართ. აგრეთვე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, 7 პოლიციის უფროსის, 1 პოლიციის უფროსის მოადგილის, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის 3 უფროსის მიმართ.

2013 წელს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 241 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 77 პირის მიმართ (სსკ-ის 144[1] (წამება) მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 35 პირის მიმართ, სსკ-ის 144[3] (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლით დევნა დაიწყო 36 პირის მიმართ, ხოლო სსკ-ის 333-ე (უფლებამოსილების გადამეტება) მუხლით დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ.[3]

2014 წელს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 114 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 33 პირის მიმართ (სსკ-ის 144[1] (წამება) მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 9 პირის მიმართ, სსკ-ის 144[3] (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლით დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, სსკ-ის 333-ე (უფლებამოსილების გადამეტება) მუხლით დევნა დაიწყო 27 პირის მიმართ.

2015 წელს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 165 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პირის მიმართ (სსკ-ის 144[1] (წამება) მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, სსკ-ის 333-ე (უფლებამოსილების გადამეტება) მუხლით დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ.

[3] 2013 წელს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია 2012 წელს გამოქვეყნებული ე.წ. ,,ციხის კადრების“ საქმეების მყისიერი და ეფექტიანი გამოძიებით.

2016 წელს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 84 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ. სსკ-ის 144[1] (წამება) მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, სსკ-ის 333-ე (უფლებამოსილების გადამეტება) მუხლით დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ.



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა პენიტენციურ დაწესებულებაში თანამშრომელთა მხრიდან მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტები. 2014 წელს, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ, სახალხო დამცველმა პროკურატურას მომართა 21 წინადადებით, თუმცა მათში მოყვანილი არცერთი ფაქტი არ იძლეოდა წამების შემადგენლობას და შეეხებოდა მხოლოდ არაადამიანურ/ღირსების შემლახველ მოპყრობას.

2015 წელს სახალხო დამცველმა პროკურატურას მომართა 4 წინადადებით, რომლებიც შეეხებოდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, ხოლო 2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, იმავე თემაზე სახალხო დამცველმა პროკურატურას მომართა მხოლოდ 2 წინადადებით. სახალხო დამცველი მთავარ პროკურატურას აძლევდა რეკომენდაციას: ა) გამოძიება ეწარმოებინათ პროკურატურის ორგანოებს და ბ) გამოძიება წარმართულიყო სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა). აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა.

ზემოაღნიშნულ შედეგებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პრევენციული პოლიტიკის გაძლიერებამ. მთავარი პროკურატურის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტში, გამოიყო პროკურორთა ჯგუფი, რომლებიც სასჯელაღსრულების სამინისტროს ოპერატიულ სამმართველოსთან ერთად ახორციელებენ პატიმართა პროტესტისა და ჯანმრთელობის დაზიანების თითოეული ფაქტის დეტალურ შესწავლას, მათ შორის ვიდეო-ჩანაწერების დათვალიერების გზით. პროკურატურის აღნიშნულმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა სახალხო დამცველსა და სხვა დამოუკიდებელ მონიტორებზე ადრე სისტემაში დაფიქსირებული პრობლემის შესახებ ინფორმაციის მიღება.

ასევე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს პროკურატურის მუშაკებისათვის ევროპის საბჭოს მიერ მოწვეული საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, განხორციელდა ტრენინგები პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის, არასათანადო მოპყრობის ფაქტების სწორი კვალიფიკაციისა და წამების აკრძალვის ევროპული სტანდარტების თემებზე.

<u>ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა</u>

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს პროკურატურის ბოლო წლების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას. როგორც ცნობილია, 2016 წლის 30 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც აფასებს სახელმწიფოებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებული ღონისძიებებით, საქართველო არის შეფასების უმაღლეს - პირველ კალათაში. დადებითი შეფასების ერთ-ერთი საფუძველია სამართალდამცავი ორგანოების ეფექტური და კოორდინირებული საქმიანობა. პროკურატურა ადამიანით მოვაჭრეების მიმართ ატარებს მკაცრ პოლიტიკას, პროაქტიულად ხორციელდება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირება, ყველა შესაძლო ფაქტზე მყისიერად იწყება გამოძიება და ხორციელდება ეფექტიანი საპროკურორო ზედამხედველობა. 2016 წელს ტრეფიკინგის კვალიფიკაციით გამოძიება დაიწყო 13 სისხლის სამართლის საქმეზე და 4 ბრალდებულის მიმართ უკვე დადგა

გამამტყუნებელი განაჩენი, მათ შორის ერთ მსჯავრდებულს სასჯელის სახით დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ტერორისტული ორგანიზაცია ,,ისლამური სახელმწიფო" გლობალური ტერორისტული საფრთხის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა. აღნიშნული პროცესები უარყოფითად აისახა კავკასიის რეგიონზე, მათ შორის საქართველოზე. სამართალდამცავი ორგანოების კოორდინირებული მუშაობის შედეგად გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ტერორიზმის საფრთხის აღმოსაფხვრელად - მოხდა ტერორისტული დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენა და მათ ქმედებებს მიეცა სამართლებრივი შეფასება. კერძოდ, 2015-2016 წლებში ტერორისტული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 16 პირის მიმართ, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა პირების მიგრაცია ისლამურ სახელმწიფოში.

ტერორისტული ორგანიზაცია ,,ისლამური სახელმწიფოს" წევრობისათვის 2015 წლიდან დღემდე პასუხისგებაში მიეცა 11 პირი, რომელთაგან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 10 პირის მიმართ, ხოლო ერთი პირის მიმართ საქმე იხილება არსებითად.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, რომლითაც 2015 წლის მდგომარეობით შეფასებულია მსოფლიო ტერორისტული საფრთხეები, საქართველოს, როგორც მნიშვნელოვან პარტნიორს, დათმობილი აქვს ცალკე თავი. ჩვენი ქვეყანა აღიარებული იქნა ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლაში გლობალური კოალიციის წევრად, რომელმაც დახვეწა კანონმდებლობა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საკუთარი საზღვრების უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

რეაგირება საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულზე

საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებამდე და შემდგომ პერიოდთან დაკავშირებულ ყველა დარღვევაზე საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელდა მყისიერი რეაგირება. მედიასაშუალებებით გავრცელებულ ყველა ფაქტსა და სამართალდამცავ ორგანოებში შესულ ყველა განცხადებაზე, რომლებიც შეეხებოდა არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებულ დარღვევებს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შექმნილ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას მუდმივად მიეწოდებოდა ინფორმაცია პროკურატურის რეაგირების თაობაზე.

პროკურატურის ზედამხედველობით სამართალდამცავი ორგანოების მიერ უმოკლეს ვადებში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის 111 საქმეზე, მათგან 20 საქმეზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის არარსებობის გამო; 15 საქმეზე 24 პირის მიმართ სხვადასხვა კვალიფიკაციით დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ამჟამად მიმდინარეობს რამდენიმე დევნადაწყებული საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში.

საქართველოს პროკურატურა აგრძელებს აქტიურ მუშაობას საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი დანაშაულის ფაქტებზე სათანადო საპროცესო ხელმძღვანელობისა და დროული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიმართულებით.

ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა

2011 წლიდან დღემდე, საქართველოს მასშტაბით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა სულ 23 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან 18 სისხლის სამართლის საქმე დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) ან სახეზე იყო დანაშაულთა ისეთი ერთობლიობა, რომელთაგან ერთ-ერთი დანაშაულის კვალიფიკაცია იყო სსკ-ის 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) ან 108-ე (განზრახ მკვლელობა) მუხლი.

ზემოაღნიშნული 18 სისხლის სამართლის საქმიდან 12-ზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციით (სსკ-ის 109-ე ან/და 108-ე მუხლებით), 2 საქმე გადაკვალიფიცირდა შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაზე, 2 საქმეზე

ბრალდებულები დამნაშავედ იქნენ ცნობილნი სსკ-ის 108-ე და 109-ე მუხლთან ერთად წარდგენილ სხვა ბრალდებებში, ხოლო 2 საქმეზე დადგა სრულად გამამართლებელი განაჩენი.



დარჩენილი ხუთი სისხლის სამართლის საქმე შეეხებოდა თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებს, რომელთაგან 2-ზე დადგა გამამტყუნებელი, ხოლო 3-ზე - გამამართლებელი განაჩენი.

2016 წლის 24 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 იანვრიდან იზრდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა.

საკანონმდებლო ცვლილებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვა განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება, საქართველოს მთავარი პროკურატურის სისტემაში შეიქმნა ნაფიცი მსაჯულების მიერ განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამმართველო, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ქვეყნის მასშტაბით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილულ პროცესებს, დაეხმარება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე გამომსვლელ პროკურორებს ბრალდების მხარდაჭერის სათანადო სტრატეგიის შემუშავებაში, შეისწავლის ნაფიც მსაჯულთა

სასამართლოს მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეებს და მოამზადებს შესაბამის ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში პროკურორებისთვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს, წარმოადგენს წინადადებებს ამ მიმართულებით პროკურორთა პროფესიული გადამზადების საჭიროებებზე.

ზემოაღნიშნული სამმართველოს შექმნის პარალელურად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე გამოსვლის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, გადამზადდნენ რეგიონებში დასაქმებული პროკურორები. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების მიზნით, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების მონაწილეობით, გაიმართა ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესი. ასევე, 2016 წელს ევროსაბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ევროპულ სტანდარტებზე.

საქართველოს პროკურატურის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ზემოაღნიშნული ნაბიჯები უზრუნველყოფს ნაფიც მსაჯულთა წინაშე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიან მხარდაჭერას, რაც აისახება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე.

მოწმის დაკითხვის ახალი წესი

საქარველოს პროკურატურამ წარმატებით გაართვა თავი მოწმის დაკითხვის ახალი წესის მოქმედების პირობებში მუშაობას. 2016 წელს სასამართლოში დაყენებული იქნა მხოლოდ 71 მოწმის დაკითხვის შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 66. მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმეთა დაკითხვის შუამდგომლობის წარდგენა ძირითადად ორი საფუძვლით მოხდა: 33 შემთხვევაში მოწმე დიდი ხნით ტოვებდა საქართველოს, 27 შემთხვევაში მოწმემ უარი განაცხადა გამოკითხვაზე, 7 შემთხვევაში შუამდგომლობის საფუძველი იყო სხვა სახელმწიფოდან შემოსული სამართლებრივი დახმარების თხოვნა, 2 შემთხვევაში არსებობდა მოწმის ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე, ხოლო 2

შემთხვევაში აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება საჭიროებდა არაგონივრულ ძალისხმევას.

გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება

საქართველოს პროკურატურა, 2016 წელს, ისე როგორც წინა წლებში, ორიენტირებული იყო პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, პროკურორებისა და გამომძიებლების ყოველდღიურ საქმიანობაში საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროპული პრეცედენტული სამართლის დანერგვაზე.

2016 წელს პროკურატურამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად, კერძოდ:

- საქართველოს მთავარ პროკურატურაში შემუშავებულ იქნა და 2016 წლის ივლისიდან მოქმედებს რეკომენდაციები კონკრეტული გარემოებების არსებობისას ბრალდებულის მიმართ გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების სახისა და საპროცესო შეთანხმებისას გამოსაყენებელი სარეკომენდაციო პირობების შესახებ. რეკომენდაციის შემუშავებას საფუძვლად დაედო კრიმინოგენური მდგომარეობის ანალიზი, ცალკეულ დანაშაულებზე აღკვეთის ღონისძიების და სასჯელის გამოყენების არსებული სასამართლო პრაქტიკა. რეკომენდაცია მიზნად ისახავს გავრცელებულ დანაშაულებზე საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას. გარდა ამისა, ამგვარი რეკომენდაციის არსებობა ზრდის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პროკურორის დამოუკიდებლობის ხარისხს და უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შემჭიდროებულ ვადებში მიღებას;
- პროკურორებისათვის შეიქმნა სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია ის მნიშვნელოვანი განმარტებები, რომლებიც გაკეთებული აქვთ უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებს სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებზე. აღნიშნული დოკუმენტის შექმნის მიზანია დაეხმაროს პროკურორებს გადაწყვეტილებების და შუამდგომლობების დასაბუთებაში, ასევე, ისეთი საკითხების გაანალიზებაში, რომლებზეც არსებობს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები;

- როგორც თქვენთვის ცნობილია, სამართლებრივი წერის ერთიანი სტანდარტის დანერგვის მიზნით, საქართველოს პროკურატურამ, ევროპის კავშირთან და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, პროკურორებისთვის შეიმუშავა სამართლებრივი წერის სახელმძღვანელო და გადამზადნენ ტრენერი პროკურორები. ამ ეტაპზე ინტენსიურად მიმდინარეობს ტრენინგები, რომელთა ფარგლებში პროკურორები ეცნობიან საპროცესო დოკუმენტების სამართლებრივი წერის სტანდარტებს;
- როგორც თქვენთვის ცნობილია, 2016 წელს საქართველოს პროკურატურამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას და შემუშავდა რეკომენდაცია, რომელშიც გაწერილია გამოძიების მიმდინარეობისას პროცესის მონაწილე შშმ პირთა დაცვის გარანტიები და მათი სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე გასათვალისწინებელი გარემოებები. აღნიშნული რეკომენდაცია შეისწავლა საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის მიერ მოწვეულმა ექსპერტმა და იგი შეაფასა დადებითად. გარდა რეკომენდაციისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და სწორი დამოკიდებულების ფორმირების მიზნით, გადამზადება გაიარა პროკურორებისა და გამომძიებლების ორმა ჯგუფმა;
- 2016 წლის მარტიდან, კიბერდანაშაულის შესახებ ბუდაპეშტის კონვენციის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურამ მულტინაციონალური ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებისგან გამოძიებისთვის საჭირო ელექტრონული მონაცემების მიღება პირდაპირ დაიწყო. დღევანდელი მონაცემებით კომპანიებისგან მონაცემების მიღებას მხოლოდ რამდენიმე დღე სჭირდება, მაშინ როცა სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი დახმარების

პროცედურა რამდენიმე თვე გრძელდებოდა. მსგავსი თანამშრომლობა წარმატებით ხორციელდება ,,Facebook“-თან და ,,Apple“-თან. აღნიშნულის პარალელურად, პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის მომზადდა მულტინაციონალური ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებთან თანამშრომლობის სახელმძღვანელო, რაც ხელს უწყობს ახალი გზით საჭირო მონაცემების მიღებას. ,,Facebook“-ის მიერ სახელმწიფოების თხოვნების დაკმაყოფილების მონაცემებით, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. 2016 წლის მარტის შემდეგ საქართველოდან გაგზავნილი თხოვნების 80%-ზე მეტი დაკმაყოფილდა. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს ქვეყნების უმრავლესობის თხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი 50%-ზე დაბალი იყო, ხოლო 80%-ზე მაღალი დაკმაყოფილების მაჩვენებელი მხოლოდ 15-მდე სახელმწიფოს ჰქონდა. საქართველოს პროკურატურა კვლავ აგრძელებს მუშაობას სხვა უცხოურ კომპანიებთან მსგავსი ტიპის თანამშრომლობის გასაფართოებლად;

- 2016 წელს საქართველოს პროკურატურაში განხორციელდა 100-ზე მეტი სასწავლო აქტივობა, რომლებშიც 1721 მსმენელი იყო ჩართული. სასწავლო აქტივობები ჩატარდა სხვადასხვა მიმართულებით: სასამართლო უნარ-ჩვევები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; სამართლებრივი წერა; ეფექტიანი საჯარო გამოსვლა, კომუნიკაცია და მედიასთან ურთიერთობა; ფულის გათეთრების საქმეთა გამოძიება; კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანა; კორუფციული დანაშაულები; ტრეფიკინგი და სხვა.

პროკურორთა შეფასების სისტემა

საქართველოს პროკურატურამ 2016 წლის ნოემბერში დაასრულა პროკურორთა შეფასების სისტემაზე მუშაობის პირველი ეტაპი და იგი უახლოეს მომავალში წარედგინება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს იუსტიციის

სამინისტროს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში.

შეფასების სისტემაში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები რაიონული პროკურატურის და საოლქო პროკურატურის იმ პროკურორებისა, რომლებიც საპროცესო ხელმძღვანელობას უწევენ სხვა საგამოძიებო უწყების გამომძიებლებს.

2017 წლის 1 იანვრიდან პროკურორთა შეფასება განხორციელდება როგორც საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის, ასევე საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში პროკურორის მუშაობის, დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დაცვის, ტრენინგებზე მიღწეული შედეგებისა და სხვა აქტივობების მიხედვით. გარდა ხარისხობრივი მაჩვენებლებისა, შეფასდება პროკურორის დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება საპროცესო ხელმძღვანელობის ქვეშ არსებული და სასამართლოში განხილულ საქმეთა რაოდენობისა და სირთულის მიხედვით. პროკურორი შეფასდება ასევე მისი უშუალო ხელმძღვანელის მიერ, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

ყველა ზემოაღნიშნული კომპონენტის შეფასების შედეგების შეჯამებით მოხდება თითოეული პროკურორის მიერ გაწეული მუშაობის ერთიანი შეფასება, რაც იქნება გათვალისწინებული პროკურორთა დაწინაურების, წახალისებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას.

შეფასების აღნიშნული სისტემა მინიმუმამდე დაიყვანს პროკურორთა სუბიექტური შეფასების რისკებს, აამაღლებს მოტივაციას, უზრუნველყოფს პროკურორის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებას და თითოეული პროკურორის დამოუკიდებლობას.

გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგები

მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ 2016 წლის 01 იანვრიდან 01 ნოემბრამდე ჩატარებული იქნა 58 სამსახურებრივი შემოწმება პროკურატურის 120 მუშაკის მიმართ.

შემოწმების შედეგების საფუძველზე, დისციპლინური სახდელი დაეკისრა 22 თანამშრომელს (15-ს გამოეცხადა შენიშვნა, 7-ს საყვედური), სამსახურებრივი შემოწმების დროს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდაცია გაეგზავნა 60 თანამშრომელს, პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილი იქნა 4 თანამშრომელი, ხოლო 11 თანამშრომელი, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, პირადი განცხადების საფუძველზე იქნა გათავისუფლებული პროკურატურის სისტემიდან.

2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 ოქტომბრამდე საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო 11 სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის (სსკ-ის 342-ე მუხლით 2 ნოტარიუსის, სსკ-ის 342-ე და 376-ე მუხლებით 1 ნოტარიუსის, სსკ-ის 180-ე მუხლით 1 მოქალაქის, სსკ-ის 373-ე მუხლით 2 მოქალაქის) მიმართ, რომელთაგან 3 პირზე მიმდინარე გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებული იქნა 1 მოქალაქე (სსკ-ის 373-ე მუხლით).

2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 ოქტომბრამდე განაჩენი დადგა 6 პირის (სამი ადვოკატის, ერთი მოქალაქის, ერთი პროკურატურის მრჩევლის, ერთი ყოფილი პროკურორის) მიმართ, რომელთაგან ერთ პირზე მიმდინარე გამოძიებას წარმოებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

ამჟამად, პირველი ინსტანციის სასამართლოში არსებითად განიხილება 30 სისხლის სამართლის საქმე 40 პირის მიმართ (26 პირის მიმართ ყალბი აზომვითი ნახაზების საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მისაკუთრების ბრალდებით, 7 პირის მიმართ მიწის ყალბი აზომვითი ნახაზის შედგენის ბრალდებით, 3 ნოტარიუსის მიმართ სამსახურებრივი გულგრილობისა და სამსახურებრივი სიყალბის ბრალდებით, საჯარო რეესტრის 2 თანამშრომლის მიმართ სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით, 1 მოქალაქის მიმართ თაღლითობის ბრალდებით, 1 მოქალაქის მიმართ პროკურატურის მუშაკის მიმართ ჩადენილი ხულიგნობის ბრალდებით).

2 სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში (1 ადვოკატის და 1 ყოფილი პროკურორის მიმართ).

პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, 75-მა პროკურორმა და პროკურატურის გამომძიებელმა პროფესიული ეთიკის სტანდარტებისა და ინტერესთა კონფლიქტის თემაზე გაიარა ტრენინგი, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა ასევე ეთიკის კოდექსის დარღვევის პრაქტიკული მაგალითები. აღნიშნული მიმართულებით თანამშრომელთა გადამზადება გაგრძელდება 2017 წელსაც.

საკონსულტაციო საბჭო

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს მთავარი პროკურორის 2016 წლის 11 იანვრის ბრძანების საფუძველზე, პროკურატურის განვითარებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი საკითხების, პროკურატურის მუშაკთა წახალისების, დაწინაურებისა და დისციპლინურ საკითხთა განხილვის მიზნით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო.

მიმდინარე წელს ჩატარდა საკონსულტაციო საბჭოს რვა სხდომა, რომლის ფარგლებშიც საკონსულტაციო საბჭომ მთავარ პროკურორს წარუდგინა რეკომენდაცია პროკურატურის 38 მუშაკის წახალისების, 23 მუშაკისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების, 15 მუშაკის დაწინაურების შესახებ. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკონსულტაციო საბჭომ პროკურატურის 18 მუშაკს მიმართა სარეკომენდაციო წერილით.

აღსანიშნავია, რომ გენერალურმა ინსპექციამ 2016 წელს საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინა სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა პროკურატურის 42 მუშაკის მიმართ. საკონსულტაციო საბჭომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეწონილად მიიჩნია 23 მათგანის მიმართ. საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ - საქართველოს მთავარმა პროკურორმა გაითვალისწინა საბჭოს ყველა რეკომენდაცია და დისციპლინური სახდელი დააკისრა პროკურატურის მხოლოდ ზემოაღნიშნულ 23 მუშაკს.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში საკონსულტაციო საბჭოს შექმნა დადებითად შეფასდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის სტამბულის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების მე-4 რაუნდის მონიტორინგის 2016 წლის 15 სექტემბრის ანგარიშში. ანგარიშში მითითებულია, რომ მეტწილად შესრულებულია წინა ანგარიშში მოცემული

რეკომენდაცია პროკურორების სამსახურიდან დათხოვნისა და მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების პროცედურების გადახედვის თაობაზე.

პროკურატურის ადამიანური რესურსები

დღევანდელი მონაცემებით საქართველოს პროკურატურაში მუშაობს 870 თანამშრომელი, რომელთაგან 434 არის პროკურორი (მათგან ქალი - 128), 96 გამომძიებელი (მათგან ქალი - 7), 58 სტაჟიორ-პროკურორი (მათგან ქალი - 31), 282 სხვა მუშაკი (მრჩევლები, დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურეები, რომელთაგან ქალია 163).

მენეჯერულ პოზიციას იკავებს 110 მუშაკი, მათ შორის 15 არის ქალი, რომელთაგან 4 არის დეპარტამენტის უფროსი, 1 დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და 10 სამმართველოს უფროსი.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

<u>საჯარო ინფორმაციის გაცემა</u>

საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2016 წლის 9 თვეში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 252 განცხადება, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 140; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 25; 9 განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, 3 დატოვებულ იქნა განუხილველად, 22-ზე ამჟამად მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება, ხოლო 53 მათგანზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.



საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ეფუძნებოდა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: რიგ შემთხვევებში მოთხოვნა შეეხებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასა და პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რიგ შემთხვევებში მოთხოვნის დაკმაყოფილება სცილდებოდა საქართველოს პროკურატურის კომპეტენციის ფარგლებს, რიგ შემთხვევებში მოთხოვნილი იყო სხვა პირის პერსონალური მონაცემები, რიგ შემთხვევებში მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საქართველოს პროკურატურის მიერ დაცულ, დამუშავებულ, შექმნილ ან გაგზავნილ ინფორმაციას.

განუხილველად იქნა დატოვებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარმოდგენილი ის განცხადებები, რომლებიც არ პასუხობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე და 83-ე მუხლების მოთხოვნებს, კერძოდ, წარმოდგენილ განცხადებას თან არ ერთვოდა შესაბამისი უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტი.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2016 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით არ გამოვლენილა.

პარლამენტიდან შემოსული წერილები

2016 წლის 9 თვეში მთავარ პროკურატურაში საქართველოს პარლამენტიდან შემოვიდა 716 წერილი, რომელთაგან პასუხი გაეცა 582-ს, ხოლო 134 მათგანი შესწავლის პროცესშია.



მოქალაქეებთან შეხვედრის ახალი წესი და ელექტრონული პროგრამა

საქართველოს პროკურატურა ღიაა საზოგადოების თითოეული წევრისთვის და მზად არის მოუსმინოს ყველა მოქალაქეს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი პრობლემის მოგვარება პროკურატურის კომპეტენციაა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საქართველოს პროკურატურამ დახვეწა მოქალაქეებთან შეხვედრის სისტემა. შემუშავდა დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მოქალაქესთან შეხვედრის წესები. ახალი წესის თანახმად, პროკურორთან შეხვედრის შესახებ, ყველა მოქალაქის თხოვნა (ზეპირი თუ წერილობითი), მოთხოვნიდან უახლოეს დღეებში იქნება დაკმაყოფილებული (გამონაკლისი იქნება ისეთი შემთხვევები, როცა პროკურორი იმავე საკითხზე უკვე შეხვდა მოქალაქეს). ამავე დოკუმენტით გაიწერა ზემდგომი პროკურორების მოქალაქეებთან შეხვედრის რიგითობა და წესი.

მოქალაქესა და პროკურორს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის წარმართვის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა მოქალაქეებთან შეხვედრის ელექტრონული პროგრამა. გარდა იმისა, რომ აღნიშნული

პროგრამის საშუალებით ხორციელდება მოქალაქესთან შეხვედრის ორგანიზება, მასში თავს იყრის პროკურორთან შეხვედრის ყველა მოთხოვნა (ზეპირი, წერილობითი). აღნიშნული მოთხოვნების ერთ ელექტრონულ სისტემაში მოქცევა იძლევა შეხვედრის მოთხოვნის შინაარსის მქონე განცხადებების სისტემატიზაციის საშუალებას, ქმნის შეხვედრის მოთხოვნის შინაარსის მქონე განცხადებების პერიოდული ანალიზისა და ზედა რგოლის მენეჯერების ინფორმირების შესაძლებლობას განხორციელებული შეხვედრებისა და მისი შედეგების შესახებ.

მოქალაქეებთან შეხვედრის ელექტრონული პროგრამა ამ ეტაპზე დანერგილია: ზუგდიდში, ბათუმში, რუსთავსა და გორში. აღნიშნულ რაიონებში 2 თვის განმავლობაში დარეგისტრირებულია მოქალაქეთა 79 თხოვნა პროკურორთან შეხვედრის შესახებ, რომელთაგან დაკმაყოფილდა 15, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 21, არ დაკმაყოფილდა 26, შუალედური პასუხი გაეცა 2-ს, 5 შეხვედრაზე არ გამოცხადდა შეხვედრის ინიციატორი მოქალაქე, ხოლო 10 შეხვედრა არის ჩანიშნული.

2017 წლის 1 იანვრიდან კი მოქალაქეთა შეხვედრის ელექტრონული პროგრამა ამოქმედდება საქართველოს პროკურატურის ყველა ტერიტორიულ და სტრუქტურულ დანაყოფში.

<u>მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახური</u>

საქართველოს პროკურატურისათვის პრიორიტეტულია მოწმეთა და დაზარალებულთა ინტერესების გათვალისწინება და, შესაბამისად, 2016 წელსაც ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის მუშაობის გასაუმჯობესებლად. სამსახურის უფრო ეფექტურად მუშაობის მიზნით, ამ ეტაპზე, ხორციელდება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის რეფორმირება. შემუშავდა გაიდლაინი, რომელიც დაზარალებულთან თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, ითვალისწინებს ტრეფიკინგის, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და არასრულწლოვანთა საქმეებში კოორდინატორის ჩართვას. კოორდინატორები გამოძიების დაწყებისთანავე დაამყარებენ კომუნიკაციას დაზარალებულ პირებთან და სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას მიაწვდიან ინფორმაციას პროცესის მიმდინარეობისა და იმ სერვისების შესახებ, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ისარგებლონ ამ დანაშაულის შედეგად დაზარალებულმა პირებმა. კოორდინატორები აქტიურად ჩაერთვებიან ასევე ოჯახური დანაშაულის პრევენციისა და ამ მიზნით განხორციელებულ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში.

ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით მზადდება საინფორმაციო ვიდეორგოლი და ბროშურები მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის ფუნქციების შესახებ.

სამსახურის ეფექტურობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 2016 წლის 9 თვეში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მომსახურებით სულ ისარგებლა 6925-მა მოქალაქემ.

<u>ადგილობრივი საბჭო</u>

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პროკურატურამ დანერგა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მიდგომები. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი მოდელის მიხედვით, 2016 წლის მარტიდან უწყებამ დაიწყო რეგიონებში ადგილობრივი საკოორდინაციო ორგანოს - ,,ადგილობრივი საბჭოს“ შექმნა, რომელშიც დანაშაულთან საბრძოლველად სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის, აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საზოგადოების სხვა წევრები გააერთიანა.

ადგილობრივი საბჭოს პირველი სხდომა 2016 წლის 10 მარტს ჩატარდა. ამ ეტაპისთვის ადგილობრივი საბჭოს სხდომა ჩატარებულია 10 ადგილობრივ ერთეულში: ბათუმში, ხელვაჩაურში, ოზურგეთში, ზუგდიდში, რუსთავში, მარნეულში, ბოლნისში, თელავში, ახალციხესა და ახალქალაქში. სხდომებში მონაწილეებს წარედგინათ მთავარი პროკურატურის მიერ მომზადებული კვლევები ოჯახში ძალადობასთან და საქართველოს სსკ-ის 140-ე მუხლთან (16 წელს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირი) დაკავშირებით. სხდომაში მონაწილე პირები აქტიურად ჩაერთნენ საბჭოს მუშაობაში და საინტერესო წინადადებები და მოსაზრებები წარმოადგინეს ზემოაღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის კუთხით.

ყველა ზემოაღნიშნულ რეგიონში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და საზოგადოების სხვადასხვა წევრთან. შეხვედრის ფარგლებში მათ მიეწოდათ ინფორმაცია ადგილობრივი საბჭოს შექმნის, დანაშაულის პრევენციის პროცესში მათი უშუალო ჩართვის შესაძლებლობის შესახებ. მათვე გადაეცათ საინფორმაციო ბუკლეტები ადგილობრივი საბჭოსა და ოჯახში ძალადობის შესახებ. უახლოეს მომავალში დაგეგმილია საინფორმაციო პლაკატების დამზადება და მათი გავრცელება სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ადგილობრივი საბჭოს პროექტმა დიდი დაინტერესება გამოიწვია როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებში, ასევე საზოგადოებაში. ადგილობრივი საბჭოს ყველა სხდომაზე აღინიშნა, რომ ეს არის პირველი შესაძლებლობა, საზოგადოებამ პროკურატურასთან ერთად უშუალო მონაწილეობა მიიღოს დანაშაულის პრევენციაში.

2016 წლის ბოლომდე ადგილობრივი საბჭოს სხდომები ჩატარდება საქართველოს ყველა რეგიონში.

<u>პროექტი „საზოგადოებრივი პროკურატურა“</u>

საქართველოს პროკურატურა, „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში, აქტიურად ახორციელებდა პრევენციულ და სხვა ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებას და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის გაზრდას.

„საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, 2016 წელს ჩატარდა 110 ღონისძიება, მათ შორის 99 საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, 6 სპორტული და 5 საქველმოქმედო ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 3834-მა პირმა.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამიზნე ჯგუფებს ძირითადად წარმოადგენენ არასრულწლოვნები და სტუდენტები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროკურატურის ინიციატივით განხორციელებულ ღონისძიებებში პრობაციონერებისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მონაწილეობას.

პროექტი ,,საზოგადოებრივი პროკურატურა“ ამჟამად მოქმედებს 20 რაიონულ პროკურატურაში. 2017 წელს იგეგმება დარჩენილი 8 რაიონული პროკურატურის აღნიშნულ პროექტში ჩართვა.

<u>ბრიფინგები და განცხადებები</u>

საქართველოს პროკურატურის მიერ 2016 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარდა 13 ბრიფინგი და გამოქვეყნდა 198 პრესრელიზი.

პროკურატურის განვითარების სტრატეგია

საქართველოს პროკურატურამ დაასრულა მუშაობა პროკურატურის განვითარების სტრატეგიაზე და უახლოეს დღეებში იგი იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში წარედგინება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიული ხედვა აგებულია სისტემის პროგრესსა და განვითარებაზე, რაც თავის თავში მოიცავს: დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას, ადამიანის უფლებების დაცვას, საპროკურორო საქმიანობისა და გამოძიების ხარისხის ამაღლებას, პროკურორის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას, პროფესიული ეთიკის სტანდარტისა და თანამშრომელთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმის დახვეწას, ინსტიტუციურ განვითარებას, პროკურატურის სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, საზოგადოების ნდობის ამაღლებას და დანაშაულის პრევენციას.

სტრატეგიაში მოცემული მიმართულებები ეფუძნება წამყვანი სამართლებრივი სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკას, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებს/ანგარიშებს, პროკურატურაში ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევას და პროკურორთა დატვირთვის ანალიზს.

წარმოდგენილი სტრატეგიის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი და ევროპის საბჭო, რომლებმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი საექსპერტო და ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინეს პროკურატურის სისტემას.

სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად, პროკურატურა მოწოდებულია ყველა სახელმწიფო ორგანოსთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობისთვის.